



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

21 მარტი 2025



N 140/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

მესტიის მუნიციპალიტეტში, სს გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემის „საქრუსენერგოს“ 500 კვ ძაბვის მიწისზედა ელექტროგადამცემი ხაზის „კავკასიონის“ რეკონსტრუქციაზე (გაყვანა) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, სს გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემის „საქრუსენერგოს“ (ს/კ: 211324468) მიერ, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში 2024 წლის 20 დეკემბერს (წერილი N12095) წარმოდგენილ იქნა მესტიის მუნიციპალიტეტში, 500 კვ ძაბვის მიწისზედა ელექტროგადამცემი ხაზის „კავკასიონის“ რეკონსტრუქციის (გაყვანა) გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და კანონმდებლობით გათვალისწინებული თანდართული დოკუმენტაცია, რაზეც ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში სააგენტომ უზრუნველყო საექსპერტო კომისიის შექმნა (ბრძანება N750/ს; 30.12.2024), შესაბამისი უწყებების ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართვა და დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრისთვის გაგზავნა. წარმოდგენილი დოკუმენტაცია ცენტრის მიერ განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე. გზშ-ის ანგარიში მომზადებულია შპს „გამა კონსალტინგის“ მიერ.

2023 წლის 7 ივლისს, სს გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემის „საქრუსენერგოს“ მიერ, სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, წარმოდგენილ იქნა მესტიის მუნიციპალიტეტში, 500 კვ ძაბვის მიწისზედა ელექტროგადამცემი ხაზის „კავკასიონის“ რეკონსტრუქციის სკოპინგის ანგარიში, რაზეც სკოპინგის პროცედურის შედეგად დადგინდა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი და გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი საკითხები (სკოპინგის დასკვნა N52; ბრძანება N493/ს; 5.09.2024).

დაგეგმილი საქმიანობა ითვალისწინებს მესტიის მუნიციპალიტეტში, სოფ. იდლიანის მიმდებარე ტერიტორიაზე, საპროექტო 500/110/35 კვ ძაბვის ქვესადგურ „იდლიანზე“ დაკავშირების (შესვლა-გამოსვლა) მიზნით ელექტროგადამცემი ხაზის „კავკასიონის“ N91 და N94 საყრდენებს შორის მოქცეული მონაკვეთის რეკონსტრუქციას, რაც გულისხმობს N92 საყრდენის დემონტაჟს და ახალ ლოკაციაზე გადატანას, N93 საყრდენის დემონტაჟს და მის ნაცვლად, მდ. ენგურის მარჯვენა ნაპირზე ორი Y2 K (C2) ტიპის ახალი N93-N93ა საყრდენი ანბის მოწყობას, ასევე N94 საყრდენი ანბის დემონტაჟს, მისი შეცვლილი კუთხით დამონტაჟების მიზნით. პროექტი არ ითვალისწინებს N91 საყრდენის ადგილმდებარეობის ცვლილებას. სარეკონსტრუქციო მონაკვეთის სიგრძე შეადგენს 1,251 კმ-ს.

ანგარიშში წარმოდგენილია დაგეგმილი საქმიანობის ალტერნატიული ვარიანტების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის განხილულია საპროექტო ეგბ-ის ტიპის, ადგილმდებარეობისა და დაგეგმილი საქმიანობის უმოქმედობის ალტერნატივები. დოკუმენტში განხილულია ეგბ-ის გაყვანის ორი ალტერნატიული

მარშრუტი, რომელთა ურთიერთშედარების საფუძველზე, ტექნიკური და გარემოსდაცვითი საკითხების გათვალისწინებით, უპირატესობა მიენიჭა შერჩეულ ალტერნატივას. ელექტროგადამცემი ხაზის ტიპის ალტერნატიული ვარიანტებიდან (საჰაერო და მიწისქვეშა ეგხ) გარემოსდაცვითი და ტექნიკური საკითხების გათვალისწინებით, უპირატესობა მიენიჭა საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანას.

სარეკონსტრუქციო მონაკვეთი მდ. ენგურის მარცხენა ნაპირზე არსებული ეგხ „კავკასიონის“ N92 ანძის ადგილის ცვლილებით იწყება (არსებული N92 ანძიდან დაახლოებით 50 მ-ის დაშორებით), აღნიშნული წერტილიდან საპროექტო ეგხ-ს ტრასა ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით გადადის მდ. ენგურის მარჯვენა ნაპირზე 245 მ სიგრძის ელექტროგადამცემი ხაზით საპროექტო N93 საყრდენის განთავსების წერტილამდე, საიდანაც მოხდება 140 მ სიგრძის ეგხ-ს შესვლა საპროექტო 500/110/35 კვ ძაბვის „იდლიანის“ ქვესადგურში. საპროექტო ქვესადგურიდან ელექტროგადამცემი ხაზი კვლავ მდ. ენგურის მარჯვენა სანაპიროზე დაგეგმილ N93ა ანძაზე დაერთდება, საიდანაც ეგხ გადავა მდ. ენგურის მარცხენა ნაპირზე ფერდობის შედარებით მაღალ ნიშნულზე და N94 ანძაზე დაერთებით ჩაერთვება არსებულ ეგხ „კავკასიონზე“.

საპროექტო საყრდენების განთავსების GPS კოორდინატებია: N92 - X-266790, Y-4757549; N93 - X-266966, Y-4757715; N93ა: X-267097, Y-4757687; N94: X-267567, Y-4757431. აღნიშნული საყრდენების ზღვის დონიდან განთავსების ნიშნულებია: N92 – 600 მ; N93 – 560 მ; N93ა – 567 მ და N94 – 745 მ.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, 4 ცალი საპროექტო საყრდენისათვის საძირკვლად გამოყენებული იქნება ანაკრები რკინა-ბეტონის ბლოკები. რკინა-ბეტონის საძირკვლების ქვეშ ქვაბულის ფსკერი მოსწორდება 10-15 სმ სისქის ხრემის ან ღორღის დატკეპნილი ფენით. საყრდენების დამიწება გათვალისწინებულია Φ12 მრგვალი ფოლადის საშუალებით. სადენებად გამოყენებული იქნება ფოლად-ალუმინის, AC300/67 მარკის სადენები. საჰაერო ეგხ საყრდენების კოროზიისაგან დასაცავად პროექტით გათვალისწინებულია მოთუთიებული საყრდენების დაყენება. საჰაერო ეგხ-ის საყრდენებისთვის საძირკვლების პარამეტრები შერჩეულია საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების საფუძველზე.

საპროექტო ეგხ-ის დერეფნიდან ჩრდილო-დასავლეთით, 900 მეტრში მდებარეობს უახლოესი დასახლებული პუნქტი - სოფ. სკორმეთი. საპროექტო ტერიტორია მოიცავს მდ. ენგურის ორივე ნაპირს. მარცხენა სანაპიროზე მდინარიდან საპროექტო N92 და N94 ანძებამდე მანძილი შეადგენს 150-535 მეტრს, ხოლო მარჯვენა ნაპირზე დაგეგმილ N93 და N93ა ანძებამდე მანძილი 25-35 მეტრია. სარეკონსტრუქციო მონაკვეთში ეგხ-ს დერეფანი კვეთს მდ. ენგურის მარცხენა ნაპირზე არსებულ შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ზუგდიდი-ჯვარი-მესტია-ლასდილის საავტომობილო გზას და სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ 35 კვ ძაბვის საჰაერო ეგხ-ს.

საპროექტო 500კვ ძაბვის ეგხ-ის დაცვის ზონად გათვალისწინებულია 30 მეტრი მანძილი განაპირა სადენებიდან, ეგხ-ის ორივე მხარეს. საპროექტო ეგხ-ს დერეფანი გადის დაუსახლებელ ტერიტორიებზე, სადაც საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობები განთავსებული არ არის, ეგხ-ის ბუფერში და არც დაცვის ზონაში არ ჰყვება საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობები.

წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, საპროექტო ეგხ-ის დერეფნის ძირითად ნაწილზე მისასვლელად გამოყენებული იქნება შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის “ზუგდიდი-მესტია-ლასდილის” საავტომობილო გზა და ტერიტორიის მიმდებარედ არსებული გრუნტის გზები, რომელთა გარკვეული ნაწილი საჭიროებს სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებას. ახალი გზის მოწყობა გათვალისწინებულია არსებულ და საპროექტო N92 ანძის ადგილებამდე, რომლის სიგრძეც დაახლოებით 614 მეტრს შეადგენს. რეაბილიტირებული და საპროექტო ახალი გზების სიგრძე ჯამურად დაახლოებით 1769 მეტრს შეადგენს, ხოლო სიგანე მაქსიმუმ 4 მ იქნება.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, სამშენებლო ბანაკის მოწყობა არ არის გათვალისწინებული. საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისას არ იქნება მოწყობილი მუდმივი სამშენებლო მოედანი, სამუშაო უბნები განთავსდება ეგხ-ის გასწვრივ. პროექტის ფარგლებში ჩასატარებელი სამშენებლო

სამუშაოების ვადა განსაზღვრულია 6 თვე. სამშენებლო სამუშაოები იწარმოებს მხოლოდ დღის საათებში. მშენებლობაზე დასაქმებული პერსონალის რაოდენობა მშენებლობის ეტაპზე იქნება 15 ადამიანი. ლითონის საყრდენების სექციების აწყობა მოხდება უშუალოდ სამშენებლო მოედანზე სამონტაჟო ჭანჭიკების საშუალებით. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია სასაწყობე ბაზის მოწყობა, რისთვისაც გამოყენებული იქნება არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 702 მ² ფართობის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი (GPS კოორდინატები X-266981, Y-4757682). სასაწყობე ბაზა გამოყენებული იქნება სადენების, ანძების კონსტრუქციების, საძირკვლების და სხვა მასალების დასაწყობებისათვის, ასევე სამშენებლო ტექნიკის განთავსებისთვის. ანძების საძირკვლები და კონსტრუქციები ადგილზე შემოტანილი იქნება მზა სახით. მშენებლობის პროცესში გამოყენებული იქნება შემდეგი სახის ტექნიკა: გადასაადგილებელი ელექტროგენერატორი, საწნები აგრეგატი, შესადუღებელი აგრეგატი, დამტკეპნი აგრეგატი, ავტომატქანა მისაბმელით, თვითმცლელი, ბულდოზერი, ამწე და ექსკავატორი. სამშენებლო ბანაკების ტერიტორიებზე, სამშენებლო მასალების მწარმოებელი ობიექტების და საწვავის სამარაგო რეზერვუარების განთავსება დაგეგმილი არ არის. სასაწყობო ტერიტორია მდ. ენგურიდან დაცილებულია დაახლოებით 15 მეტრით, ხოლო უახლოესი საცხოვრებელი ზონის საზღვრიდან დაახლოებით 1850 მ მანძილით (სოფ. სკორმეთი).

მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ექსკავირებული ქანების მაქსიმალური რაოდენობა იქნება დაახლოებით 2850 მ³. რომელიც დროებით დასაწყობდება 300 მ² ფართობის მქონე ტერიტორიაზე, რომლის GPS კოორდინატებია: X - 267284, Y - 4757535; X - 267310, Y - 4757548; X - 267315, Y - 4757539 და X - 267288, Y - 4757526. ექსკავირებული ქანები გამოყენებული იქნება საპროექტო ანძების თხრილის უკუყრილებისათვის და სარეაბილიტაციო ზეზების ვაკისების მოსაწყობად.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე მოიხსნება ნიადაგის ნაყოფიერი ფენა. მოსახსნელი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის საერთო მოცულობა დაახლოებით იქნება 170 მ³. მოხსნილი ნაყოფიერი ფენა ცალ-ცალკე დასაწყობდება სპეციალურად გამოყოფილ ტერიტორიებზე. მშენებლობის დასრულების შემდგომ დასაწყობებული ნაყოფიერი ფენა გამოყენებული იქნება დაზიანებული უბნების აღდგენა/რეკულტივაციის სამუშაოებისთვის. სარეკულტივაციო სამუშაოები განხორციელდება „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების მიხედვით.

გზმ-ის ანგარიშში შესრულებული გაანგარიშების თანახმად, როცა ყველა სამშენებლო ტექნიკა - თვითმცლელი, ამწე-მექანიზმები და ექსკავატორი ერთდროულად მუშაობს, ხმაურის დონე მანქანა-დანადგარების უშუალო სიახლოვეში არ აღემატება 93 დბა-ს. უნდა აღინიშნოს, რომ ძირითადი ხმაურის წარმომქმნელი სამუშაოები განხორციელდება ანძების მშენებლობის წერტილებში, დღის საათებში. დოკუმენტის თანახმად, ჩატარებული გაანგარიშებების მიხედვით უახლოეს მოსახლესთან (სამშენებლო უბნიდან 900 მ) მოსალოდნელი ხმაურის დონეები (34 დბა) არ გადააჭარბებს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს. ხმაურით გამოწვეული ზემოქმედების შემცირების მიზნით, გზმ-ის ანგარიშში ასევე მოცემულია შემარბილებელი ღონისძიებები, მათ შორის შედარებით სენსიტიურ მონაკვეთზე ერთდროულად მომუშავე ხმაურწარმომქმნელი წყაროების რაოდენობის შემცირება, მანქანა-დანადგარების ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფა და სხვა. ამასთან, ზემოქმედება იქნება დროებითი და მოკლევადიანი, ამასთანავე საცხოვრებელ ზონებსა და სამშენებლო მოედნებს შორის არსებული ხელოვნური და ბუნებრივი ბარიერები გარკვეულად შეამცირებს ხმაურის გავრცელების დონეებს.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების გამოყენება არ არის გათვალისწინებული, ვინაიდან სამშენებლო მასალები საპროექტო ტერიტორიაზე მზა სახით შემოვა. მშენებლობის ეტაპზე, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ემისიების მთავარი წყაროები იქნება მიწის სამუშაოები, სამშენებლო ტექნიკა და სატრანსპორტო საშუალებები. სამშენებლო

ტექნიკის მრავლების მუშაობისას ადგილი ექნება მცირე რაოდენობით წვის პროდუქტების ემისიებს, ხოლო გრუნტიან გზებზე გადაადგილებისას არაორგანული მტვრის გავრცელებას. ეგხ-ს ექსპლუატაციის ეტაპზე, კერძოდ, სარემონტო-პროფილაქტიკური სამუშაოების პროცესში, მავნე ნივთიერებათა ემისიების რაოდენობა იქნება უმნიშვნელო. მშენებლობის ეტაპზე ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ემისიების მინიმიზაციის მიზნით გათვალისწინებულია შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები. გზის ანგარიშის თანახმად, ელექტრომაგნიტური ველების გავრცელების კუთხით დაცული იქნება საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის N366 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესი და მათი დაცვის ზონები“ დადგენილი მანძილები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები და არქეოლოგიური ობიექტები არ ფიქსირდება. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ცნობით, საპროექტო არეალი არ ხვდება კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების ინდივიდუალური დაცვის არეალში. ანგარიშში აღნიშნულია, რომ მიწის სამუშაოების განხორციელების პროცესში კულტურული მემკვიდრეობის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ შეჩერდება სამუშაოები და ეცნობება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს.

ანგარიშში განხილულია ეგხ-ის საქმიანობით გამოწვეული კუმულაციური ზემოქმედება, ანგარიშში მოცემულია საპროექტო 500/110/35 კვ ძაბვის ქვესადგურის „იდიანის“ და საპროექტო ეგხ-ს სამშენებლო სამუშაოების პარალელურ რეჟიმში შესრულების შემთხვევაში მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები. საპროექტო ეგხ კვეთს სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ 35 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემ ხაზს, თუმცა მოსახლეობიდან დაცილების (900 მ) გათვალისწინებით ელექტრული ველების გავრცელების თვალსაზრისით კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. კუმულაციური ზემოქმედება ექსპლუატაციის ეტაპზე ძირითადად მოსალოდნელია არსებულ ეგხ-ებთან ერთად შექმნილი ხელოვნური ბარიერით გამოწვეულ ფრინველთა დაზიანების ან დაღუპვის გაზრდილ რისკებთან. მოსალოდნელი ზემოქმედების შემცირების მიზნით, ანგარიშის თანახმად აღნიშნულ მონაკვეთებზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ანგარიშში მოცემული შემარბილებელი ღონისძიებების გატარებას და მონიტორინგის წარმოებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საპროექტო საყრდენების სამშენებლო მოედნებზე გაყვანილია 4 სამთო გამონამუშევარი, მათ შორის 2 შურფ/ჭაბურღილი. საკვლევ ტერიტორიაზე გამოიყოფა 1 საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი - სგე-1 პორფირიტები, ტუფობრექჩიები, ტუფოქვიშაქვები, ტუფები (გამოფიტული კლდოვანი ქანები). საკვლევი უბანი საინჟინრო-გეოლოგიური სირთულის თვალსაზრისით განეკუთვნება (საშუალო) II კატეგორიას. საკვლევ უბანზე სამთო გამონამუშევრებში შესწავლილ სიღრმეზე გრუნტის წყლის გამოვლინებები არ აღინიშნა. საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე თანამედროვე საშიში საინჟინრო-გეოლოგიური პროცესების კვალი ამჟამად არ აღინიშნება. საინჟინრო-გეოლოგიური თვალსაზრისით უბანი მდგრადია და არსებული პირობები საყრდენის მშენებლობისათვის მისაღებია. საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონების სქემის მიხედვით საკვლევი ტერიტორია მიეკუთვნება 8 ბალიან სეისმური აქტივობის ზონას, შესაბამისად გრუნტების სეისმური თვისებებისა და რეგიონის სეისმურობის გათვალისწინებით, სამშენებლო მოედნის სეისმურობად მიღებულია - 8 ბალი. საპროექტო ეგხ-ის ანძების მისასვლელი დროებითი გზების გაყვანის და საძირკვლების ადგილების მომზადების დროს საშიში გეოდინამიკური პროცესების განვითარების რისკების მინიმიზაციის მიზნით ანგარიშში მოცემულია შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები: სამშენებლო სამუშაოების დამთავრების შემდეგ ანძების განთავსების ადგილების რეკულტივაციის სამუშაოები; მასალების განთავსება ისე, რომ ადგილი არ ჰქონდეს მიმდებარე უბნებზე ეროზიული პროცესების განვითარებას; მშენებლობის და ექსპლუატაციის

ეტაპზე საინჟინრო-გეოლოგიური მდგომარეობის მონიტორინგი და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ღონისძიებების გატარება და სხვა.

მშენებლობის ეტაპზე წყლის გამოყენება მოხდება სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით და ამტვერების საწინააღმდეგო ღონისძიებებისათვის, ასევე ხანძარ-საწინააღმდეგო მიზნებისათვის. სასაწყობო ტერიტორიაზე განთავსდება წყლის სამარაგო რეზერვუარები, რომელიც განკუთვნილი იქნება სამეურნეო დანიშნულების წყლისთვის, ხოლო სასმელი წყლით მომარაგება განხორციელდება ბუტილირებული სახით. სამეურნეო-ფეკალური წყლების მართვა მოხდება ჰერმეტიკული საასენიზაციო ორმოს და ბიოტუალეტების საშუალებით, რომელთა დაცლა მოხდება პერიოდულად. სანიაღვრე წყლების პოტენციურად დამაბინძურებელი უბნები დაცული იქნება ატმოსფერული ნალექებისგან. სამუშაოების წარმოების პროცესში საწვავის მარაგის შექმნის მიზნით რეზერვუარების მოწყობა არ იგეგმება. ზედაპირული და გრუნტის წყლების დაბინძურების რისკები უკავშირდება მშენებლობის ეტაპზე წარმოქმნილი ნარჩენების არასწორ მართვას. ნავთობპროდუქტების და სხვა ნივთიერებების შემთხვევით დაღვრას და ა.შ. გზშ-ის ანგარიშში მოცემულია შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები, მათ შორის დაწესდება კონტროლი ნარჩენების სათანადო მართვაზე, შემთხვევითი დაღვრის შემთხვევაში მოხდება დაბინძურებული ფენის დროული მოხსნა და გატანა ტერიტორიიდან.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ფლორისტული შეფასება მოიცავდა მთლიან დერეფანში არსებული ჰაბიტატების გამოვლენასა და იქ შეხვედრილ მცენარეთა აღწერა-იდენტიფიკაციას. ეგზ-ის დერეფანში ძირითადად გვხვდება რცხილა (*Carpinus caucasica*), წიფელი (*Fagus orientalis*), ნეკერჩხალი (*Acer campestre*), ვერხვი (*Populus alba*), თხმელა (*Alnus barbata*), ფიჭვი (*Pinus nigra*) და სხვა. წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, დაგეგმილია 8 სმ და მეტი დიამეტრის მქონე 46 ერთეული ხე-მცენარის მოჭრა. ეგზ-ს დერეფნის გაყოლებაზე ასევე გვხვდება თელა (*Ulmus glabra*), საქართველოს წითელი ნუსხის სახეობა, სტატუსი - მოწყვლადი (VU). ანგარიშის თანახმად, უშუალოდ ანძების განთავსების წერტილებში ეს სახეობა არ გვხვდება, შესაბამისად მასზე რაიმე სახის ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

ანგარიშის თანახმად, საველე კვლევების და არსებული სამეცნიერო ლიტერატურული ინფორმაციის დამუშავების შედეგად მთელ საპროექტო არეალში და მის მიმდებარე ადგილებში გამოვლენილია ძუძუმწოვრების 30-ზე მეტი, ხელფრთიანების 20-მდე, ფრინველების 90-მდე, ქვეწარმავლების და ამფიბიების 15-მდე, მოლუსკების და სხვადასხვა სახის უხერხემლოების 500-ზე მეტი სახეობა. ლიტერატურულ წყაროებზე დაყრდნობით და საველე კვლევის მიხედვით, საპროექტო და მის მიმდებარე ტერიტორიებზე შესაძლოა მოხვდეს ხელფრთიანთა 17 სახეობა. საქართველოს წითელი ნუსხით დაცული სახეობებიდან გვხვდება სამხრეთული ცხვირნალა (*Rhinolophus euryale*) და ევროპული მაჩქათელა (*Barbastella barbastellus*). საერთაშორისო ხელშეკრულებებით დაცული სახეობებიდან აღსანიშნავია: ჩვეულებრივი ფრთაგრძელი (*Miniopterus schreibersii*), გიგანტური მეღამურა (*Nyctalus lasiopterus*). მხოლოდ ევროპის მასშტაბით: წვეტყურა მღამიობი (*Myotis blythii*), მცირე ცხვირნალა (*Rhinolophus hipposideros*) და დიდი ცხვირნალა (*Rhinolophus ferrumequinum*). არსებულ ლიტერატურულ წყაროებზე დაყრდნობით საკვლევ ტერიტორიაზე და მის არეალში არსებულ ჰაბიტატებში აღწერილია ფრინველთა 90-მდე სახეობა. დაცული სახეობებიდან საპროექტო ტერიტორიაზე ხვდება: ქორცქვიტა (ან შავთვალა მიმინო, ლევანმიმინო) (*Accipiter brevipes*), ველის (ან გრძელფეხა) კაკაჩა (*Buteo rufinus*), ველის არწივი (*Aquila nipalensis*) და ჩვ. გვრიტი (*Streptopelia turtur*). კვლევის პერიოდში დაცული სახეობებიდან საკვლევ ტერიტორიაზე არ დაფიქსირებულა არცერთი სახეობა. გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, მშენებლობისა და ექსპლუატაციის ფაზაზე, საპროექტო უბნის ტერიტორიაზე არსებულ ფლორისა და ფაუნის სახეობებზე მოსალოდნელია გარკვეული სახის ზემოქმედება, რაზეც გატარდება გზშ-ის დოკუმენტში წარმოდგენილი შემარბილებელი ღონისძიებები, მათ შორის: სამუშაოების დაწყებამდე ტერიტორიების შემოწმება ცალკეული სახეობების საბუდარი ადგილების/სოროების გამოვლენის მიზნით; თხრილების და მშენებლობის პროცესში დატოვებული სხვა მსგავსი სახიფათო უბნების შემოღობვა; ელექტროსადენების ერთმანეთისგან დაშორების მანძილის განსაზღვრა; ფრინველების ელ. სადენებთან შეჯახების რისკების შემცირების მიზნით, მდ. ენგურის ოთხივე გადაკვეთაზე სადენების მარკირება და სხვა.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე მოსალოდნელია როგორც სახიფათო, ასევე არასახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. არასახიფათო ნარჩენებიდან წარმოიქმნება მიწის სამუშაოების დროს ამოღებული გრუნტი, რომელიც ძირითადად გამოყენებული იქნება უკუყრისთვის ანძების სიცარიელების ამოსავსებად, ელექტროსადენების ნარჩენები, საყოფაცხოვრებო ნარჩენები და სხვა. სახიფათო ნარჩენებიდან წარმოიქმნება საწმენდი მასალები, საღებავის ნარჩენები და სხვა. პროექტის მშენებლობის და ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი ნარჩენები, კლასიფიცირებული იქნება მათი სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით. გარდა ამისა, ნარჩენების დროებითი დასაწყობებისთვის სამშენებლო მოედნებზე განთავსდება სათანადო მარკირების მქონე დახურული კონტეინერები. მშენებლობის ეტაპზე წარმოქმნილი სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების შემდგომი მართვა განხორციელდება ამ საქმიანობაზე სათანადო ნებართვის მქონე კონტრაქტორების მიერ. ნარჩენებით გარემოს დაბინძურების პრევენციის მიზნით, გზშ-ის ანგარიშში განსაზღვრულია შემარბილებელი ღონისძიებები.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელების მიზნით სააგენტომ უზრუნველყო წარმოდგენილი დოკუმენტაციის სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრში გაგზავნა. სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა უზრუნველყო საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის განთავსება გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე და ინფორმაცია გაეგზავნა ცენტრის ყველა გამომწერს ელ. ფოსტის მეშვეობით. ინფორმაცია ასევე გაიგზავნა მესტიის მუნიციპალიტეტის მერიაში და გამოქვეყნდა ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებში. გარდა ამისა, საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ ინფორმაცია ასევე გამოქვეყნდა გაზეთში. გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართა 2025 წლის 13 თებერვალს მესტიის მუნიციპალიტეტის სოფ. ხაიშის ადმინისტრაციული ერთეულების შენობაში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის, სს გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა „საქრუსენერგოს“, საკონსულტაციო კომპანია შპს „გამა კონსალტინგის“, მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები და დაინტერესებული საზოგადოება. საჯარო განხილვის მიმდინარეობისას დაინტერესებული საზოგადოების მხრიდან შენიშვნები/მოსაზრებები არ დაფიქსირებულა. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, პროექტთან დაკავშირებით სააგენტოში წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები არ დაფიქსირებულა.

გზშ-ის ანგარიშს თან ახლავს საქმიანობის გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა, გარემოზე მოსალოდნელი ნეგატიური ზემოქმედებების შემარბილებელი ღონისძიებები, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა, დასკვნები და რეკომენდაციები.

გზშ-ის ანგარიშში განიხილეს შესაბამისმა ექსპერტებმა და სპეციალისტებმა გარემოსდაცვითი შეფასების სხვადასხვა მიმართულებით, რომელთა დასკვნების შეჯერებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების, ასევე „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის მე-3 პუნქტის 3.4 ქვეპუნქტის საფუძველზე,

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება მესტიის მუნიციპალიტეტში, სს გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემის „საქრუსენერგოს“ 500 კვ ძაბვის მიწისზედა ელექტროგადამცემი ხაზის „კავკასიონის“ რეკონსტრუქციაზე (გაყვანა);
2. ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა განუსაზღვრელი ვადით;
3. სს გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა „საქრუსენერგომ“ საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშისა და თანდართული დოკუმენტაციის, წარმოდგენილი სქემის, გარემოსდაცვითი მონიტორინგის და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმების, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი

ლონისძიებების, მათ შორის ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების, შერბილების და თავიდან აცილების ქმედებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად. ასევე, საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს გეოლოგიურ ნაწილში მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებითა და ქვეყანაში მოქმედი სტანდარტების, სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით;

4. **სს გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა „საქრუსენერგომ“** მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს განახლებული ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის გეგმის სააგენტოსთან შეთანხმება, სადაც ასევე ასახული იქნება ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის კუთხით განსახორციელებელი ქმედებების სააგენტოსთან ანგარიშგების პერიოდულობის საკითხი. მონიტორინგის განხორციელება უზრუნველყოს შეთანხმებული გეგმის შესაბამისად;
5. **სს გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა „საქრუსენერგომ“** მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს მდ. ენგურის საინჟინრო ჰიდროლოგიური მონაცემების (დატბორვის და წარეცხვის დონეები) წარმოდგენა მდ. ენგურის შესაძლო გავლენის გათვალისწინებით;
6. **სს გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა „საქრუსენერგომ“** მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს ნარჩენების მართვის გეგმის სამინისტროსთან შეთანხმება „კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის განხილვისა და შეთანხმების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს N211 ბრძანების შესაბამისად. ნარჩენების მართვა უზრუნველყოს „ნარჩენების მართვის კოდექსის“ და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნებისა და ვალდებულებების და შეთანხმებული გეგმის შესაბამისად;
7. **სს გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა „საქრუსენერგომ“** საქმიანობის განხორციელებისას უზრუნველყოს „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვა;
8. **სს გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა „საქრუსენერგომ“** უზრუნველყოს „ცხოველთა გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 ივლისის N348 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება;
9. **სს გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა „საქრუსენერგომ“** საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ განსაზღვრული შესაბამისი ტექნიკური პირობების დაცვით;
10. **სს გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა „საქრუსენერგომ“** მშენებლობის დაწყებისა და ასევე ექსპლუატაციაში შესვლის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს სააგენტოს;
11. **სს გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა „საქრუსენერგომ“** გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განხორციელოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
12. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს **სს გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა „საქრუსენერგოს“** და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
13. ბრძანება ძალაში შევიდეს **სს გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა „საქრუსენერგოს“** მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
14. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ასევე მეტეის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
15. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, N64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

3. 

<https://edocument.ge/mea/public/#/140-21-4-202503211328>

